

შპს "მარგეს ფრენშიაიზი" ფინანსური ანგარიშგება

2023წ. 31 დეკემბრის დასრულებული წლის ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება


აქტივები	შენიშვნა	12/31/2023	12/31/2022
ფული დაფულთან გათანაბრებული ინსტრუმენტები	3	67 239	17 795
სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები	4	92 849	9 207
მარაგები	5	59 451	9 639
მოკლევადიანი აქტივები			
არამატერიალური აქტივები	6	0	0
ძირითადი საშუალებები	6	1 070 188	90 548
გრძელვადიანი აქტივები			
სულაქტივები		1 289 727	127 189

ვალდებულებები			
სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები	7	4 289	6 227
ვალდებულებები თანამშრომელთა მიმართ	7	0	0
საგადასახადო ვალდებულებები	8	60 461	43 223
მიმდინარე სასესხო ვალდებულებები	9	66 129	0
მოკლევადიანი ვალდებულებები			
გრძელვადიანი სასესხო ვალდებულებები	9	928 927	0
სხვა გრძელვადიანი ვალდებულებები			
გრძელვადიანი ვალდებულებები			
სულვალდებულებები		1 059 806	49 450

საკუთარი კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი		18 000	18 000
გაუნაწილებელი მოგება / (დაგროვილი ზარალი)		211 921	59 739
სულ საკუთარი კაპიტალი			
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები		229 921	77 739

ჯაბა ახალაია (დირექტორი)

თეიმურაზი გვეტაძე (მთ. ბუღალტერი)



შპს "მარგეს ფრენშაიზი" ფინანსური ანგარიშგება

2023წ. 31 დეკემბრის დასრულებული წლის საქმიანობის შედეგი


	შენიშვნა	12/31/2023	12/31/2022
ამონაგები	10	4 574 098	3 396 737
თვითღირებულება	11	-2 908 291	-2 462 510
წინა პერიოდის მარაგის ნაშთის გასწორება	11		
საერთო მოგება		1 665 807	934 227
სხვა არასაერაციო ხარჯი	12	-465	-159
დასაქმებულთა ანაზღაურება	11	-918 000	-533 920
ცვეთა და ამორტიზაცია	11	-28 321	-16 386
საპროცენტო ხარჯი	11	-55 823	0
იჯარის ხარჯი	11	-36 121	-28 617
ძირითადი საშუალების ჩამოწერა	11		
სხვა ხარჯი	11	-474 895	-295 406
სულ საოპერაციო ხარჯები		-1 513 625	-874 488

საოპერაციო მოგება		152 182	59 739
-------------------	--	---------	--------

გაუფასურების (ხარჯი)/ რევერსირება:			
მარაგების გაუფასურება		0	0
წმინდა შემოსულობა / (დანაკარგი) სავალუტო ოპერაციებიდან:	12	0	0
მოგება/(ზარალი) მოგების გადასახადის ხარჯამდე განგრძობითი ოპერაციებიდან		152 182	59 739
მოგების გადასახადი		0	0
მოგება/(ზარალი)		152 182	59 739

ჯაბა ახალაია (დირექტორი)

თეიმურაზი გვეტაძე (მთ. ბუღალტერი)




შპს "მარგეს ფრენშაიზი" ფინანსური ანგარიშგება

ცვლილებები საკუთარ კაპიტალში

სხვასრულიშემოსავალი / (ზარალი):	12/31/2023	12/31/2022
ძირითადი საშუალებების (მათ შორის, ბიოლოგიური აქტივების) გადაფასების რეზერვი		
სხვა		
სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი), სულ:		
მთლიანი სრული შემოსავალი/ (ზარალი)		
კაპიტალი საწყისი ნაშთი (პერიოდის საწყისი ნაშთი)	77739	18000
განაწილება მესაკუთრეებზე (მათ შორის დივიდენდი)	0	0
სხვა ცვლილებები გაუნაწილებელ მოგებაში	152182	59739
კაპიტალის ანგარიშგება პერიოდის ბოლოს	229921	77739

ჯაბა ახალაია (დირექტორი)

თეიმურაზი გვეტაძე (მთ. ბუღალტერი)



შპს "მარგეს ფრენშაიზი" ფინანსური ანგარიშგება

კომპანიის დასახელება: შპს "მარგეს ფრენშაიზი"

კომპანიის საიდენტიფიკაციო კოდი: 412764227

ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა: შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება.

დირექტორი: ჯაბა ახალაია

დამფუძნებლები: 100% - ჯაბა ახალაია

სააღრიცხვო პოლიტიკა და ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები 2023 წ. 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

შენიშვნა 1: ზოგადი ინფორმაცია

შპს „მარგეს ფრენშაიზი“ (შემდგომში „კომპანია“) დაარსდა 2022 წელს საქართველოში. კომპანიის ძირითად საქმიანობას კვებითი მომსახურება.

კომპანიის იურიდიული მისამართია საქართველო, ქ. ქუთაისი, ილია ჭავჭავაძის გამზირი, N 67
კომპანიის ფაქტიური მისამართია საქართველო, ქ. ქუთაისი ქ.მარტავას ქუჩა I შესახვევის #15;

შენიშვნა 2: ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძველი და სააღრიცხვო პოლიტიკა

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია 2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის. ფინანსური აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ გამოცემული მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის შესაბამისად.

კომპანიის მიერ, პირველად მოხდა მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის გამოყენება ფინანსური ანგარიშგებების მოსამზადებლად.

კომპანიას გასულ პერიოდებში არ წარუდგენია ფინანსური ანგარიშგება.

კომპანიის ფინანსური ანგარიშგების მსს ფასს სტანდარტებზე იყენებს დაარსებიდან.

საანგარიშგებო და სამუშაო ვალუტაა ქართული ლარი. ანგარიშგებაში რიცხობრივი მონაცემები ასახულია ერთეულამდე სიზუსტით. საანგარიშგებო პერიოდი ემთხვევა კალენდარულ წელს.

ფინანსური ანგარიშგების სრული პაკეტი მოიცავს:

1. საანგარიშგებო თარიღისთვის მომზადებულ ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებას;
2. საქმიანობის შედეგების ანგარიშგებას;
3. განმარტებით შენიშვნებს, სადაც მოკლედ განხილულია ყველა მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა და სხვა განმარტებითი ინფორმაცია.

შპს "მარგეს ფრენშაიზი" ფინანსური ანგარიშგება

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

საანგარიშგებო პერიოდის საკუთარი კაპიტალის ცვლილებები, რომელსაც ფინანსური ანგარიშგება მოიცავს, განპირობებულია მხოლოდ მოგების ან ზარალის მიღებით, წინა პერიოდების შეცდომების გასწორებითა და სააღრიცხვო პოლიტიკის ცვლილებით, შესაბამისად კომპანიამ გადაწყვიტა წარადგინოს საანგარიშგებო თარიღისთვის მომზადებულ ფინანსური მდგომარეობის, საქმიანობის შედეგების ანგარიშგება და განმარტებითი შენიშვნები, სადაც მოკლედ განხილულია ყველა მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა და სხვა განმარტებითი ინფორმაცია.

აქტივები და ვალდებულებები ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილია გრძელვადიან და მოკლევადიან მუხლებად და სტრუქტურა შედგენილია ლიკვიდობის კლებადობის მიხედვით.

აქტივები შეფასებულია პირვანდელი ღირებულებით და დაგროვილი ცვეთით (დაგროვილი გაუფასურების ზარალთან ერთად) საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისისა და ბოლოსათვის;

ამონაგების აღიარება

ამონაგები საქონლის რეალიზაციიდან მაშინ აღიარდება, როდესაც მყიდველს საქონელი მიეწოდება და საკუთრების უფლება გადაეცემა. ამონაგების შეფასება ხდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით, ფასდათმობებისა და საქართველოს მთავრობის სახელით ამოღებული, რეალიზაციასთან დაკავშირებული გადასახადების გამოკლებით.

ხარჯების აღიარება ხდება დარიცხვის მეთოდით. დანახარჯები განიხილება იმ პერიოდის ხარჯად, როდესაც იგი წარმოიშვა და უზრუნველყო ეკონომიური სარგებლის მიღება.

კაპიტალი

საკუთარი კაპიტალი არის საწარმოს აქტივების ის ნაწილი, რომელიც რჩება ყველა ვალდებულების გამოკლების შემდეგ.

ქონება კლასიფიცირდება როგორც კაპიტალი.

ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალების შეფასება ხდება დაგროვილი ცვეთისა და დაგროვილი გაუფასურების ზარალით შემცირებული თვითღირებულების თანხით.

ცვეთის დარიცხვა ხდება შეფასებით სასარგებლო მომსახურების ვადაზე, წრფივი მეთოდის გამოყენებით.

ძირითად საშუალებებზე ცვეთის დასარიცხად გამოიყენება შემდეგი წლიური განაკვეთები:

მიწის ნაკვეთი 0%

დაუმთავრებელი მშენებლობა 0%

მანქანა დანადგარები 20%

ტექნიკადა ელ. მოწყობილობები 20%

ავეჯი და მოწყობილობა 20%

სატრანსპორტო საშუალებები 20%

თუ არსებობს რაიმე ნიშანი იმისა, რომ ცვეთის ნორმა, აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადა ან ნარჩენი ღირებულება მნიშვნელოვნად შეიცვალა, ახალი შეფასების ასახვის მიზნით, მოცემული აქტივის ცვეთა შესწორდება პერსპექტიულად.

შპს "მარგეს ფრენშაიზი" ფინანსური ანგარიშგება

სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები

სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების აღიარება ხდება თვითღირებულებასა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებულ სარეალიზაციო ფასს შორის უმცირესი თანხით. თვითღირებულება გაიანგარიშება "საშვალო შეწონილი მეთოდით".

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

რეალიზაცია, ძირითადად, ხორციელდება ჩვეულებრივი საკრედიტო პირობებით და დებიტორულ დავალიანებას პროცენტი არ ერიცხება. იმ შემთხვევაში, როდესაც საკრედიტო ვადები აღემატება ჩვეულებრივ საკრედიტო ვადებს, მოთხოვნების შეფასება ხდება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით. ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს გაანალიზდება სავაჭრო და სხვა მოთხოვნების საბალანსო ღირებულებები, რათა დადგინდეს, არსებობს თუ არა ობიექტური მტკიცებულება იმისა, რომ ეს თანხები არ არის ამოღებადი. ამგვარი მტკიცებულების არსებობის შემთხვევაში, გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

აქტივების გაუფასურება

ყოველი საანგარიშგებო თარიღისათვის ტარდება ძირითადი საშუალებების განხილვა, რათა დადგინდეს, არსებობს თუ არა რაიმე ნიშანი იმისა, რომ აღნიშნული აქტივები გაუფასურებულია. იმ შემთხვევაში, თუ არსებობს შესაძლო გაუფასურების ნიშანი, შეფასდება ნებისმიერი აქტივის (ან დაკავშირებულ აქტივთა ჯგუფის) ანაზღაურებადი ღირებულება და შეუდარდება მის საბალანსო ღირებულებას.

თუ შეფასებული ანაზღაურებადი ღირებულება ნაკლებია, საბალანსო ღირებულება შემცირდება მის ანაზღაურებად ღირებულებამდე, ხოლო გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში. ანალოგიურად, ყოველი საანგარიშგებო თარიღისათვის შეფასდება სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების გაუფასურება, რისთვისაც სასაქონლო-მატერიალური ფასეულობის თითოეული ერთეულის (ან ანალოგიური ერთეულების ჯგუფის) საბალანსო ღირებულება შეუდარდება მისი დასრულებისა და რეალიზაციისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებულ სარეალიზაციო ფასს.

თუ სასაქონლო-მატერიალური ფასეულობის ერთეული (ან ანალოგიური ერთეულების ჯგუფი) გაუფასურებულია, დასრულებისა და რეალიზაციისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებულ სარეალიზაციო ფასამდე, ხოლო გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში, ან ზარალში.

იმ შემთხვევაში, თუ შემდგომში მოხდება გაუფასურების ზარალის აღდგენა/კომპენსირება, აქტივის (ან მსგავსი აქტივების ჯგუფის) საბალანსო ღირებულება.

გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებული სარეალიზაციო ფასის) შესწორებულ შეფასებულ სიდიდემდე, მაგრამ არ გაიზრდება იმ თანხაზე მეტად,

რომელიც განისაზღვრებოდა იმ შემთხვევაში, თუ წინა წლებში არ მოხდებოდა აქტივის (ან მსგავსი აქტივების ჯგუფის) გაუფასურების ზარალის აღიარება.

გაუფასურების ზარალის აღდგენის (კომპენსირების) თანხა დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

სავაჭრო ვალდებულებები

მომწოდებლისგან მოკლევადიანი საკრედიტო პირობებით საქონლის და მომსახურების შეძენიდან წარმოშობილი ვალდებულება აღიარდება მომწოდებლისთვის გადასახდელი დავალიანების არა დისკონტირებული ღირებულებით.

შპს "მარგეს ფრენშაიზი" ფინანსური ანგარიშგება

დაქირავებულ პირთა მოკლევადიანი გასამრჯელოები:

დაქირავებულ პირთა ყველა სახის მოკლევადიან გასამრჯელოსთან დაკავშირებული დანახარჯი, რომლის მიღების უფლებაც დაქირავებულმა პირებმა მოიპოვეს საანგარიშგებო პერიოდში გაწეული მომსახურების სანაცვლოდ, აღიარდება როგორც ვალდებულება და ხარჯი. საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში, საწარმოს მიერ მოკლევადიანი გასამრჯელოების არა დისკონტირებული სიდიდით, რომელიც გადასახდელია დაქირავებულის მიერ გაწეული ზემოაღნიშნული მომსახურების სანაცვლოდ.

ოპერაციები უცხოურ ვალუტაში

უცხოური ვალუტით წარმოებული ოპერაციები თავდაპირველი აღიარებისას აისახება სამუშაო ვალუტით, რისთვისაც უცხოურ ვალუტაში გამოსახული თანხის მიმართ გამოიყენება უცხოური ვალუტის სამუშაო ვალუტაზე გასაცვლელი სპოტ სავალუტო კურსი, ოპერაციის თარიღისთვის. ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, უცხოური ვალუტით შეფასებული ფულადი მუხლები ფასდება საბოლოო სავალუტო კურსის გამოყენებით. საკურსოს ხვაობები, რომლებიც წარმოიშობა ფულადი მუხლების საბოლოო ანგარიშ სწორების ან ფულადი მუხლების გადაყვანის დროს ისეთი სავალუტო კურსით, რომელიც განსხვავდება მოცემულ პერიოდში ან წინაპერიოდების ფინანსურ ანგარიშგებაში თავდაპირველი აღიარების დროს გადასაყვანად გამოყენებული სავალუტო კურსისგან, აღიარდება მოგებაში ან ზარალში იმ საანგარიშგებო პერიოდში, როდესაც წარმოიშობა.

მოგების გადასახადი

კომპანია მოგების გადასახადს განსაზღვრავს საქართველოში მოქმედი საგადასახადო კანონმდებლობის შესაბამისად. მოქმედი საგადასახადო კანონმდებლობის თანახმად დაბეგვრას ექვემდებარება: განაწილებული მოგება, გაწეული ხარჯი ან სხვა გადახდა, რომელიც ეკონომიკურ საქმიანობასთან დაკავშირებული არ არის;

მოგების გადასახადის განაკვეთია 15 პროცენტი.

მოგების გადასახადით დასაბეგრი თანხა მიიღება დაბეგვრის ობიექტის მიხედვით განხორციელებული განაცემის/გაწეული ხარჯის ოდენობის 0.85-ზე გაყოფის შედეგად.

საგადასახადო დაბეგვრის წესიდან გამომდინარე საქართველოში რეგისტრირებულ კომპანიებს აღარ აქვთ დროებითი სხვაობები საგადასახადო კუთხით არსებულ აქტივებსა/ვალდებულებებსა და მათ საბალანსო ღირებულებას შორის, შესაბამისად, აღარ წარმოიქმნება გადავადებული მოგების გადასახადის აქტივი და ვალდებულება.

ფინანსური ანგარიშგების შედგენის თარიღისთვის და შემდგომ პერიოდში მომხდარი მოვლენები

მოვლენები, რომლებიც მტკიცებულებებს უზრუნველყოფს საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსთვის არსებულ პირობებზე აისახება როგორც საანგარიშგებო პერიოდის შემდეგი მაკორექტირებელი მოვლენები.

მოვლენები, რომლებიც მიგვანიშნებს იმ პირობებზე, რომლებიც წარმოიშვა საანგარიშგებო პერიოდის დასრულების შემდეგ პერიოდში აისახება როგორც საანგარიშგებო პერიოდის შემდეგი არამაკორექტირებელი მოვლენები.

საანგარიშო პერიოდის შემდგომ მნიშვნელოვან მოვლენებს ადგილი არ ჰქონია.

შპს "მარგეს ფრენშაიზი" ფინანსური ანგარიშგება

შენიშვნა 3

ფულადი სახსრები და ფულადი სახსრების ეკვივალენტები

	12/31/2023	12/31/2022
ნაღდი ფული სალაროში	42398	8537
ეროვნული ვალუტა რეზიდენტ ბანკში	24 586,00	9205
უცხოური ვალუტა რეზიდენტ ბანკში	255	53
სულ	67 239,00	17 795,00

შენიშვნა 4

სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები

	12/31/2023	12/31/2022
სავაჭრო მოთხოვნები - ნეტო	92 849	9 207
გადახდილი ავანსები	0	0
ავანსების დღგ	0	0
საპენსიო დანაზოგი	-	-
სულ	92 849	9 207

შენიშვნა 5

მარაგები

	12/31/2023	12/31/2022
ნედლეული და მასალები	59451	9639
საწვავი	0	0
სულ	59451	9639

შპს "მარგეს ფრენშიაზი" ფინანსური ანგარიშგება

შენიშვნა 6

ძირითადი საშუალებები

	მიწისნაკვეთები	დაუმთავრებელი მშენებლობა	მანქანა დანადგარები	ოფისის აღჭურვილობა	ავიჯი და სხვა ინვესტირება	სატრანსპორტო საშუალებები	ჯამი
ნაშთი: 2023 წლის 1 იანვარი	0	0	77 169	0	12 764	17 000	106 933
შემოსვლები	959 500		39 706	2 475	6 281		1 007 962
გადაფასება							0
გასხვისება, ჩამოწერა							
ნაშთი: 2023 წლის 31 დეკემბერი	959 500	0	116 875	2 475	19 045	17 000	1 114 895
დაგროვილი ცვლელა და გაუფასურება							0
ნაშთი: 2023 წლის 1 იანვარი	0	0	11 997	0	2 122	2 266	16 385
დარიცხვა წლის განმავლობაში	0	0	21 137	374	3 411	3 400	28 322
გასხვისება და ჩამოწერა							0
ნაშთი: 2023 წლის 31 დეკემბერი	0	0	33 134	374	5 533	5 666	44 707
წმინდა საბალანსო ღირებულება: 2023 წლის 1 იანვარი	0	0	65 172	0	10 642	14 734	90 548
წმინდა საბალანსო ღირებულება: 2021 წლის 31 დეკემბერი	959 500	0	83 741	2 101	13 512	11 334	1 070 188

შენიშვნა 7

სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები

	12/31/2023	12/31/2022
სავაჭრო ვალდებულებები	4289	6227
მიღებული ავანსები	0	0
გადასახდელი ხელფასები	0	0
სულ	4289	6227

შპს "მარგეს ფრენშიაზი" ფინანსური ანგარიშგება

შენიშვნა 8

საგადასახადო ვალდებულებები

	12/31/2023	12/31/2022
სხვა გადასახადი	43880	32947
დღგ	15130	9689
ქონების გადასახადი	1451	587
სულ	60461	43223

შენიშვნა 9

მიმდინარე სასესხო ვალდებულებები

	12/31/2023	12/31/2022
ვალდებულება საწამოს პერსონალის წინაშე	0	0
მოკლევადიანი სესხი	57 012	0
გრძელვადიანი სესხი	928 927	0
გადასახდელი პროცენტი	9 117	0
სულ სესხები	995 056	0

შენიშვნა 10

ამონაგები

	12/31/2023	12/31/2022
რეალიზაცია	4 574 098	3 396 737
უსასყიდლო რეალიზაცია	0	0
მომსახურება	0	0
სულ	4 574 098	3 396 737

შენიშვნა 11

სხვახარჯები

	12/31/2023	12/31/2022
თვითღირებულება	-2 908 291	-2 462 510
წინა პერიოდის მარაგის ნაშთის გასწორება	0	0
შრომის ანაზღაურება	-918 000	-533 920
იჯარის ხარჯი	-36 122	-28 617
მიწოდების ხარჯები	-192 925	-96 232
რემონტის/შეკეთების ხარჯები	-9 520	-27 025
კომუნალური გადასახადები	-54 131	-32 715
საპროცენტო ხარჯები	-55 823	0
ცვეთა და ამორტიზაცია	-28 322	-16 386
სხვა ხარჯები	-218 317	-139 435
სულ	-4 421 451	-3 336 839

შპს "მარგეს ფრენშიზი" ფინანსური ანგარიშგება

შენიშვნა 12

სხვა არასაოპერაციო შემოსავალი

	12/31/2023	12/31/2022
საკურსო სხვაობით მიღებული მოგება/(ზარალი)	-465	-159
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი	0	0
სულ	-465	-159

შენიშვნა 12

სხვა არასაოპერაციო ხარჯები

	12/31/2023	12/31/2022
პროექტების ფინანსური ხარჯი	0	0
უარყოფითი საკურსო სხვაობები	0	0
სულ	0	0

შენიშვნა 13

დაკავშირებულ მხარეთა ოპერაციები

მფლობელებს შორის წილები გადანაწილებულია შემდეგნაირად:	12/31/2023	12/31/2022
ჯაბა ახალაია	100%	100%

ფინანსური ანგარიშგება ხელმოწერილი და გამოშვებული იქნა ხელმძღვანელობის მიერ 2024 წლის 1 სექტემბერს.